

შეზღუდული არსებობის აკრძალვის მოხსნისა და აგრეთვე პოლიტიკურ ტუსალების განთავისუფლების მოთხოვნისა.

ვინაიდან ხელუფლების მხრივ ზოგიერთ დარგში შეზღუდული არსებობის მოხსნის, დადგენილია—გაფრთხილება შესწავლის, რათა აკლინებული იქნეს თავიდან ბრძოლა მომდევნო პერიოდისათვის.

ბრძოლა დროებით შეწყვეტილია, მაგრამ დასრულებული არ არის, მორიგი ამოცანა—რეფორმისტულ გავლენის მოსპობა, პროფკავშირთა გაწმენდა შემდეგი ბრძოლის საფუძვლიან მომზადებისთვის.

ცენტრალურ საგაფიცო კომიტეტის მოხსენება მთავრობისთვის გაგზავნილ პასუხის შესახებ გაკეთებულ იქნება ხელ საღამოს.

პალიატიური ზომები

ბერლინი. 14 აგვისტო. სასოფლო-სამეურნეო ლიგამ მიმართა ფერხვრებს მოწოდებით, რომელშიც წინადადებას აძლევს მათ გააძლიერონ ქალაქში კარტოფლის შეტანა სასურსათო კრიზისის შესამსუბუქებლად.

ამავე მიზნით მთავრობამ შესწავილა ინგლისი, იტალია და სხვა ქვეყნებისათვის ნატურალურ გადასახადის შეტანა თანხმად ვერსალის ხელშეკრულებისა, ვინაიდან ამ გადასახადზე ფინანსების გაღება სახელმწიფო ბიუჯეტის დიდი დეფიციტს და მარკის კურსის დაცვას გამოიწვია.

ამის გამო „ფორვერტს“-ი სწერს, რომ საკონტრიბუტო ნატურალურ გადასახადის შეტანის შეწყვეტა მოახდინა წინადადება კაბინეტმა, შტრეზმანის კაბინეტი არაა პასუხისმგებელი ამ განკარგულებისათვის და მას არა აქვს განზრახული საკონტრიბუტო გადასახადის შეწყვეტა.

კუნოს უკანასკნელი ნაბიჯი

ბერლინი. 13 აგვისტო. კუნოს მთავრობის უკანასკნელი აქტი იყო დადგენილება მოკავშირეებისათვის ნატურალურ ყოველგვარ მიწოდების დროების დროებით შეწყვეტის შესახებ ისეთ სახელმწიფოებრივად დადგენილ კი, რომელიც მონაწილეობას არ იღებენ რურის ოკუპაციაში.

დადგენილებაში ხაზგასმულია ის გარემოება, რომ გერმანია მზად არის უკანასკნელ შესაძლებლობამდე შეასრულოს თავის თავზე მიღებული ყველა ვალდებულება, მაგრამ ამას ხელი შეუშალა დოლარის კურსმა და იმ გარემოებამ, რომ აუცილებელი გახდა ყველა ძალისხმეის შემთხვევაში წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მიმართა.

საკონტრიბუტო გადასახადების დროებითი შეჩერება განახლებული იქნება დაუყოვნებლივ ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების შემდეგ.

„ფორვერტს“-ი ხსნის პასუხისმგებლობას ამ ღონისძიებისათვის შტრეზმანის მთავრობისაგან.

შტრეზმანის კაბინეტი

ბერლინი. 13 აგ. შტრეზმანი ახალ კაბინეტში, კანცლერის თანამდებობის გარდა, საგ. საქ. მინისტრის თანამდებობასაც დაიჭირა. ს.დემოკრატი პილფერდინგი, „ფინანსური კაბინეტის“ ავტორი—დაიჭირა ფინანსთა მინისტრის დედას. ძველი კაბინეტიდან როგორც სპანს, თავის თანამდებობაზე დარჩენილი.

თავდაცვის მინისტრი გეიდლერი, რომელიც ეხმარება საიდუმლო სამხედრო ორგანიზაციებს,

საგულისხმოდ კავშირით პოპულარული საკითხის გარშემო

2.

კომუნისტების ეროვნული პრაქტიკა

კომუნისტების ეროვნული თეორიისა და პრაქტიკის მთელი მსოფლიო ადევნებს თვალყურს. ჩვენი პაწია საკარგოდ სულგანაბლული შესცქერის მოსკოვულ მოღვაწეების შემოქმედებას. უფრო ვრცელად კომუნისტების ეროვნული თეორიისა და კონკრეტულ მუშაობის (პრაქტიკა) შესახებ მე შეგებულა პრაქტიკა ჩემს წიგნში („ეროვნული კაბინეტი“), აქ მხოლოდ გავკვირვებით კომუნისტების დღევანდელ პრაქტიკას ეროვნულ საკითხში.

ეროვნული პოლიტიკის სიმძიმე იმდენად თეორიულად არ არის ჩამარხული, რამდენიც პრაქტიკაში. თანამედროვე საერთაშორისო ცხოვრების პირობებში, როცა ავტარებთ ყოველივე ძალა დაკარგა, ხოლო მთელი მსოფლიოს ეკონომიკა იმპერიალისტურ ყაიდაზე მოეწყო მეტროპოლიის სასარგებლოდ და განაპირობა კუთხე-ქვეყნების (კოლონიები) საზარდად, როცა დიდ ერებს დიდი ენები აქვთ და ამავე დროს რამდენიმე დიდ ენას თანადად უმარავი პატარა ენა, როცა თამაშობენ, სასწორმა, ტრანსპორტმა და მთელმა ვაჭრობამ საოცარი საერთაშორისო ხასიათი მიიღო, დიდი, ასეთი პირობებში ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ნაციონალიზაცია მტრად მძიმე საქმეა.

ჩვენ, ფედერალისტებს, ისტორიამ ერთი კარგი ბედი, ადვილი ბედი გვარგუნა: ჩვენ თეორიულ კოსმოსს და კრიტიკოსებს ვიყავით ყოველს დარგში და ეროვნულ დარგშიც. 1918—20 წ.წ. მენშევიკების ეროვნულ პოლიტიკას ვიწუნებდით, დღეს კი კომუნისტების პოლიტიკას ვაპირებდით. ისტორიის ფორტუნა რომ ჩვენზე მოხდებოდა ვერ ვიტყვით, გაბედული ჩვენთვის დავაგმავთ ყოველგვარი თუ არა! ყოველ შემთხვევაში ერთი რამ აშკარა—ნაციონალური პოლიტიკა ჩვენც წელზე ფეხებს დაგვადგმევინებდა და შესაძლოა კისერიც მოგვრიხა ჩვენთვის. ჩვენ ვიცით მსოფლიოს მრავალი ერი, პარტია, პროგრამა, პლატფორმა, მაგრამ არც ერთი მაგალითი არა გვაქვს საღად გადჭრილი და

გზათა მინისტრი გრემერგი, რომელმაც ჩაატარა რეგულარული გაფიცვა და აგრეთვე ფ.ტელეგრაფის მინისტრი შტიგლი.

მოელან, რომ დღეს კაბინეტის შედგენა და მთავრობა.

ბერლინი. 14 აგვისტო. გამოქვეყნდა შტრეზმანის ახალი კაბინეტის შემადგენლობა: პილფერდინგი—ფინანსთა მინისტრი; რობერტ შმიდტი—ალდგენის მინისტრი და ამავე დროს ვიცე-კანცლერი, ს.დემოკრატი; ზორნინი—შინაგან საქ. მინისტრი; რაბროტი—იუსტიციის მინისტრი; ჰესლერი—თავდაცვის მინისტრი; ჰესლერი—თავდაცვის მინისტრი; ებერი—გზათა მინისტრი; ლიუტერი ცენტრის პარტიის წევრი—სასურსათო მინისტრი; ბრაუ—შრომის, ფუკსი—ოკუპაციით დაჭერილი ოლქების; რეიზერი—სახ. პარტიის წევრი—სახალხო მეურნეობის, ფ.ტელეგრაფის მინისტრის პოსტი ჯერ თავისუფალია.

სრულიად გერმანიისა და პრუსიის მთავრობათა შორის კონტაქტის შესაქმნელად, პრუსიის პრემიერი ს.დემოკრატი ბრაუ შტრეზმანის კაბინეტში შევა უპირატესოდ, ხოლო შტრეზმანი კი იქნება სრულიად გერმანიის მთავრობის წარმომადგენელად პრუსიის კაბინეტში.

პრესა მთავრობის კრიზისის შესახებ

ბერლინი. 13 აგვისტო. მემარჯვენე და აგრეთვე ს.დემოკრატიული პრესა ამტკიცებს, რომ კუნოს მთავრობა გადადგა იმის გამო, ს.დემოკრატებს სურდათ დიდი კოალიციის შექმნა ამიტომ, რომ მას უნდობლობა გამოუცხადეს.

პრესა კმაყოფილებით უცქერს ახალ მთავრობას. ცენტრის ორგანო „გერმანიას“ აცხადებს, რომ ახალი მთავრობა სარგებლობს მნიშვნელოვანი უმრავლესობით პარლამენტში და აგრეთვე საკმაოდ ავტორიტეტით სახელმწიფოში მშვიდობიანობის და წესრიგის დასამყარებლად და რურის საკითხის წარმატებით გადასაჭრელად დიპლომატიური გზით.

„ბერლინერ ტაგელაჟ“-ი ს.დემოკრატების მოთხოვნისაზე აქტიური საგარეო პოლიტიკის შესახებ, ხსნის რურში პასიური წინააღმდეგობის გაძლიერების სურვილს.

ახალი კანცლერი

ბერლინი. 13 აგვისტო. კვირას შტრეზმანი გამოავლინა გერმანიის მთავრობის დეკლარაციით და გამოაქვეყნებს პირობებს, რომლითაც სოციალ-დემოკრატებმა თანხმობა განაცხადეს დიდი კოალიციის შექმნაზე. შტრეზმანი სახალხო პარტიის წევრი და წარმომადგენელი მსუბუქი ინტუსტრიის ინტერესებს.

უკანასკნელ დროს ის თავის სიტყვებში აუცილებლად სთვლიდა დიდი კოალიციის შექმნას. რურის საკითხის შესახებ შტრეზმანი ფიქრობს, რომ რეპარაციის ჯამი არ თამაშობს როლს, მნიშვნელოვანია გერმანიის დამოუკიდებლობა. ამიტომ შტრეზმანი მზად არის გადაიხადოს რეპარაციები უფრო მეტი რაოდენობით, ვინაიდან კუნო, მაგრამ სა-მაგიეროდ მოითხოვს რურის განთავისუფლებას საფრანგეთის მიერ, რეპარაციების მტკიცე ჯამის და-წესების და ანტანტის ჩაურევლობას გერმანიის შინაურ საქმეებში.

ბერლინი. 13 აგვისტო. „ფორვერტს“-ი გადმოგ-

ვანხორციელდებული ეროვნული პოლიტიკისა. ამაზე მეტი სირთულე განა წარმოსადგენია?

ეროვნული საკითხის ასეთი მდგომარეობა მსოფლიოში ჩვენ პარტიას და ამ ეპოქაზე განსაკუთრებით საბჭოთა ხელისუფლებას დიდ ამოცანებს უყენებს გადასაჭრელად. საბჭოთა ხელისუფლების არსებობა მჭიდროდ დამოკიდებულია ორი დიდი ელემენტის რევოლუციურ გამოსვლებზე: ეს ორი ელემენტი კლასი და ერი.

რამდენადაც სუსტდება რევოლუციის ფაქტორები და რევოლუციის ძალები—იმდენად სუსტდება საბჭოთა ხელისუფლება. ნებისმიერ შემთხვევაში ამავედ სისუსტე, იგი კომუნისტთა რევოლუციისა და რეპარაციის შორის და ეს კომუნისტთა თავზე მოგვავსია ჩვენ რევოლუციის სისუსტე მსოფლიოში. ნების გაღრმავება არ შეადგენს საბჭოთა ხელისუფლების ძალას, არამედ რევოლუციის გაღრმავება, მაგრამ რაი ევროპის პროლეტარიატის უმრავლესობა ჯერ კიდევ იმპერიალისტურ გუნებაზეა და არ გრძნობს საკმარის გაჭირვების და დაჩაგრვის ფაქტორებს, აშკარაა, რევოლუციისათვის ესეც და მასალა უნდა გამოვიყენოთ, რომელიც ამ ეპოქაზე მზად არის, რომელიც არა თუ არ გრძნობს დაჩაგრვას და გაჭირვებას, პირიქით, მხოლოდ რევოლუციის გამაჯვებაში და იმპერიალისტების დამხობაში ეძებს ხსნას, გამოსავალს. ასეთი ელემენტი—ერები. ბუნებრივად ეროვნული მოძრაობა, ეროვნული ფორმაცია რევოლუციონური ფორმაციაა, დღეს აქ არის საბჭოთა ხელისუფლების მუშაობის მთავარი ძარღვი და ამ მხარეს უნდა მიექცეს გენერალური ყურადღება. ლენინის გენია იმაში მდგომარეობს, რომ ეს საარეოლუციო ფაქტორი მან დროზე შენიშნა და გამოსახა სათანადო სამუშაო პროგრამა.

კომუნისტები ეროვნულ საკითხთან მიეყვანა არა თეორიამ, არამედ პრაქტიკამ. პრაქტიკამ და ტაქტიკამ „შეაყვარა“ კომუნისტებს ეროვნული საკითხი, მხოლოდ პრაქტიკის ძალით იწყებენ ამ ეპოქაზე კომუნისტები ეროვნული მოძღვრების, თეორიის შექმნას. თეორიისათვის, რასაც ვიცოვართ, სულ ერთია რა მოტივით მიიღებენ მას, მაგრამ ამ მომენტს პოლიტიკურ ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა აქვს. პრაქტიკის პროცესში თეორიაც იზღაურება და პოლიტიკაც სუსტად ტარდება, მთელი

ვიცემს სოციალ-დემოკრატების პირობებს დიდი კოალიციის შესაქმნელად: ფართო ფინანსური რეფორმის გატარება მთელი სახალხო მეურნეობის მონაწილეობით და რეალურ ღირებულებათა და-ბეგვრით; საგაფიცო რეფორმის განხორციელება; ოქროს სესხის გამოშვება; ოქროს ვალუტის შემოღების მომზადება; სამუშაო ხელფასის დაწესება მტკიცე კურსის მიხედვით; რეისერის გამოყოფა საიდუმლო ორგანიზაციებიდან, როგორც არის მაგალითად ორგანის (ემერიხის ორგანიზაცია); აქტიური საგარეო პოლიტიკა სარეპარაციო საკითხის გადაჭრის და ხალხის სრული დამოუკიდებლობის და გერმანიის რესპუბლიკის სუვერენობის დაცვის მიზნით, უზამდლობა გერმანიის ერთა ლიგაში მიღების შესახებ.

ბერლინი. 13 აგვისტო. სამი დღის გაფიცვების შედეგები ჯერ კიდევ არ არის გამოკვეთილი. მთავრობის ცნობების თანახმად, რკინის გზაზე მოძრაობა არ შეწყვეტილა. ფაშის ქარხნები ბერლინში არ მუშაობენ. სახელმწიფო სტამბის მუშები აღელვებული არიან. გალლეში გამოცხადებულია საერთო გაფიცვა სამი დღით. შტრეტში გემების ამშენებელი სახელოსნოები და სხვა ქარხნები არ მუშაობენ.

ბერლინი. 15 აგვისტო. „საგაფიცო ტერორის“ მოლოდინში დატუსაღებულია მრავალი პირი.

პროვინციაში მოძრაობა იზრდება. მრავალ ადგილებში გამოცხადებულია საერთო გაფიცვა. გალეს და მერსეს ოლქებში გაფიცვების კომიტეტების დატუსაღებისა და ფაშის ქარხნის პროვოკაციის გამო შეტარდა მოხდა პოლიციისა და მუშების შორის, რომლის დროსაც მოკლულია 10 და დაჭრილი 35 კაცი. იტყობინებენ, რომ ჰამბურგში ადგილი ჰქონდა სისხლის მღვრელ შეტაკებას, რის გამოც მუშებმა შეწყვეტა ნავთსადგურის, გემების ამშენებელ სახელოსნოებსა და ქარხნებში; მუშაობა შეწყდა აგრეთვე სხვა ადგილებშიც.

შტრეზმანის საპროგრამო სიტყვა

ბერლინი. 15 აგვისტო. რეისტაგში წარმოთქმულ საპროგრამო სიტყვაში, შტრეზმანი ხაზს გაუსვა პასიურ წინააღმდეგობის განგრძობის აუცილებლობას რურში, რაზედაც დაცინვით რეპლიკებით უპასუხეს ნაციონალისტებმა და კომუნისტებმა, რომელთაც შტრეზმანის კაბინეტი „მთავრობის კაპიტულია“ უწოდეს. შტრეზმანი დაპირდა რეისტაგს, რომ მისი კაბინეტი იქნება ყველაზე ძლიერი წინააღმდეგობის კაბინეტი და განაცხადა, რომ პირველ რიგში საჭიროა რურში თავისუფალი მოქმედების მიღწევა და რეისის ოლქში იმ მდგომარეობის აღდგენა, რომლის გარანტიას იძლეოდა საერთაშორისო ხელშეკრულება. გერმანია ცოტად შეგუებულია შემდეგ შესძლებს სარეპარაციო საკითხის მოგვარებას, რამდენადაც მას მისცემენ საშუალებას თვით მოაწყოს თავისი სახელმწიფოებრივი და ეკონომიკური ცხოვრება.

ინგლისის მიერ საფრანგეთისადმი გაგზავნილ ნოტის გამო, შტრეზმანი ხაზს გაუსვა აუცილებლობას იუსთავი თავშეკავებული, სანამ ნოტის ტექსტი არ იქნება გამოქვეყნებული. შტრეზმანი არაფერი არ სთქვა ერთა ლიგაში შესვლის შესახებ. თუმცა ეს მუხლი ერთი მთავარი მუხლთაგანია სოციალ-დემოკრატიის საგარეო პოლიტიკის პროგრამაში. შეეხო რა შინაურ პოლიტიკას, შტრეზმანი სატ-

პერიოდსა საჭირო, რომ ყველა გავლენიანი კომუნისტი მოხარშო ეროვნული მოძღვრების ქებაში, რომ ერებიც ისე მოეწყოს და დაიარსოს, როგორც კლასები. ამ პროცესის დასაჩქარებლად პოლიტიკური სკოლა საჭირო, ან ისეთი ავტორიტეტის გამოყენება, როგორცაა ლენინი. ამ მხრივ ლენინის ავადმყოფობა მაშველია ერების უდიდესი უბედურობა. მხოლოდ ლენინს შეუძლია პარტია მექანიკურად ამოძრავს განსაზღვრული მიზნისაკენ, რასაც ამ ეპოქაზე უმთავრესად ტროცკი, ზინოვიევი, სტალინი და სხვანი.

კომუნისტებს უყვებოდა ერთი მთავარი გარემოება ახასიათებს—ისინი ყოველ კითხვას სწევდნენ რევოლუციის თვალსაზრისიდან. ყველა დანარჩენი კითხვა ამ კითხვას ემორჩილება. კომუნისტები ეროვნულ კითხვას უარყოფდნენ, რომ ეს არ იყოს საჭირო რევოლუციისათვის. რამდენადაც ეროვნული საკითხის რადიკალიზაცია საჭიროა რევოლუციისათვის, იმდენადვე მოხდება მისი მთავარ საკითხად დასმა და რადიკალიზაცია. რამდენადაც სუსტდება კლასობრივი მომენტი რევოლუციაში, იმდენადვე დიდდება ეროვნული მომენტის ღირებულება. დასავლეთში რეპარაციის გაძლიერებამ კომუნისტები აიძულა გენერალური ყურადღება მიექცია ადმოსავლეთისათვის. ისეთი პასუხისმგებელი პირების დანიშვნა ადმოსავლეთში, როგორიცაა იოვე (იპაჩიანოვი), კარახანი (ჩინეზი), ბულუ მდი-ვანი (მონგოლეთში) და სხ. ნიშნავს ეროვნული საკითხის მთელი სიმძიმის წარმოდგენას, მიღებას. ეს ძალიან კარგად ესმის ბოლდუინ-კერზონის კაბინეტს, რაც ვერ შეუვსია ჯერ კიდევ მენშევიკებს (იხ. მათი ბერლინის ეურნალი „სოციალ. უწყება“ № 12, 1 ივლისის)

ადმოსავლეთის პრობლემა არსებითად ეროვნული კითხვაა. თავიდან მოიშორეთ ადმოსავლეთში მუშაობის აზრი და თქვენ ყოველგვარი ინტერესი დაგეგმავრებით ეროვნულ საკითხისადმი და ისე პირიქით, ადმოსავლეთში მუშაობისათვის თქვენ საგვით გარკვეული პოლიტიკა უნდა გქონდეთ ეროვნულ საკითხში.

დღემდე ადმოსავლეთი იცნობდა გაბატონებულ კაპიტალისტურ ქვეყნების ეროვნულ პოლიტი-

კად გალაშქრა იმ ელემენტების წინააღმდეგ, რომელნიც არიან გერმანიის კონსტიტუციის მიხედვით მაგრამ არ დასახელდნენ არც ერთი გერმანიის

განცხადების შემთხვევაში, სადაც კომუნისტები მთავრობას მოეპოვება სამხედრო ძალით და მოიყვანებს მას მოწინააღმდეგე ელემენტებთან საბრძოლველად, ტანით და ოგაციებით შეხედენ ბურჟუაზიული პარტიები და დამსწრე საზოგადოება განსაკუთრებით მოეწონათ მათ ერთი ფრაზა, რომ „საყოველთაო გაფიცვა ჩაიშალა“. კომუნისტები კი არა ერთხელ აწვევდნენ სიტყვას შტრეზმანს, კერძოდ მაშინ, როდესაც შტრეზმანმა განაცხადა, რომ მუშების მოთხოვნით მშვიდობიან დროის ხელფასის დაწესების შესახებ უარყოფილი იქნება, ვინაიდან ეს დიდ ზიანს მიყენებს გერმანიის სახალხო მეურნეობას მსოფლიო ბაზარზე და შეასუსტებს მის კონკურენციის უნარს.

შტრეზმანის სიტყვა არაფერ ახალს არ შეცავდა. მან აღნიშნა მხოლოდ, რომ საჭიროა ოქროს სესხის კანონპროექტის სასწრაფოდ გატარება და ხაზს გაუსვა, რომ მტკიცე საგადასახადო საშუალებანი უზრუნველყოფს სურსათის შემოტანას, უტყუარების პრესის წარმომადგენლებისადმი მიმართულ სიტყვაში შტრეზმანი აფრთხილებდა საზოგადოარტულ სახელმწიფოებს, რომ მათ მოელოს საფრთხე, თუ გერმანია „გაბოლმევიკდება“.

ბერლინი. 15 აგვისტო. კანცლერი შტრეზმანი გამოვიდა რეისტაგში ახალი მთავრობის დეკლარაციით. კაბინეტი წინააღმდეგობას გაუწევს ყოველგვარ ძალდატანებას გერმანიაზე. პასიური წინააღმდეგობა მდგომარეობს გერმანიის მიერ თავის სიმართლის შეგნებაში, რასაც ამ ეპოქაზე სცნობს თვით ინგლისიც. კანცლერი თანახმაა საკითხების გადაჭრის აობრტარის საშუალებითა და მას ექვემდებარება, რომ არაბრტარის დაუშვანების რურის თავისუფლებას. მხოლოდ იმის შემდეგ, როდესაც გერმანია კვლავ შეუერთდება რურს და რეინლანდში აღდგენილი იქნება ის პირობები, რომელიც თავისუფლებისა და საკითხის გამო მიღწეული შეთანხმებაში, გერმანიას, თავისი ძალების დაქვემდებარებით საშუალება ექნება შეასრულოს თავისი საკონტრიბუტო ვალდებულება შესაძლებლობის ფარგლებში. ფულის ვალდების განახლების პირველ პირობას წარმოადგენს გერმანიის პოლიტიკური და ეკონომიკური მდგომარეობის განმტკიცება. მხოლოდ მაშემდეგ ნებისყოფა თავდაცვისათვის მისცემს გერმანიის ერი გზას თავისუფლებისაკენ. ილუზებია ის, ვინც იმედს ჰყავს, მაგრამ კანცლერს მტკიცული სწამს გერმანიის მომავალი. თვითუფლი. იმას უნდა ცდილობდეს, რომ უზრუნველყოს ეს მომავალი. რეისტაგმა ნდობა გამოუცხადა კაბინეტს 240 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 76-ს. კაბინეტი ხმა მისცემს: ცენტრმა, დემოკრატებმა, სახალხო პარტიამ და სოციალ-დემოკრატებმა; წინააღმდეგ წავიდნ ნაციონალისტები და კომუნისტები; პავარიისა, სახალხო პარტიის 25 დეპუტატმა თავი შეიკავა ხმის მიცემის დროს.

პარიზი. 15 აგვისტო. საფრანგეთის პრესის აზრით, შტრეზმანის დეკლარაცია არ სტოვებს იმ შთაბეჭდილებას, რომ ახალი კანცლერი შეგეცხება შესცვალის გერმანიის პოლიტიკაში. ვაზეთიერ განსაკუთრებით ხაზს უსვამენ სიტყვას იმ ადგილებს, სადაც შტრეზმანი, ეყრდნობა-რა ბრტანეთის ნოტს, აცხადებს, რომ გერმანიის სიმართლე იქნა ინგლისისათვის.

„პტი პარიზი“ სწერს: „შტრეზმანი, აღობაღ, თავის სიტყვას სულ სხვა კილოთი წარმოთქვამდა, რომ ბრიტანეთის ნოტს არ გაეღვიძებო ბერლინი, სხვათა შორის, სასენიტი შემცდარი იქნებოდა ინგლისის ჩარევამდე“.

პერიოდსა საჭირო, რომ ყველა გავლენიანი კომუნისტი მოხარშო ეროვნული მოძღვრების ქებაში, რომ ერებიც ისე მოეწყოს და დაიარსოს, როგორც კლასები. ამ პროცესის დასაჩქარებლად პოლიტიკური სკოლა საჭირო, ან ისეთი ავტორიტეტის გამოყენება, როგორცაა ლენინი. ამ მხრივ ლენინის ავადმყოფობა მაშველია ერების უდიდესი უბედურობა. მხოლოდ ლენინს შეუძლია პარტია მექანიკურად ამოძრავს განსაზღვრული მიზნისაკენ, რასაც ამ ეპოქაზე უმთავრესად ტროცკი, ზინოვიევი, სტალინი და სხვანი.

კომუნისტებს უყვებოდა ერთი მთავარი გარემოება ახასიათებს—ისინი ყოველ კითხვას სწევდნენ რევოლუციის თვალსაზრისიდან. ყველა დანარჩენი კითხვა ამ კითხვას ემორჩილება. კომუნისტები ეროვნულ კითხვას უარყოფდნენ, რომ ეს არ იყოს საჭირო რევოლუციისათვის. რამდენადაც ეროვნული საკითხის რადიკალიზაცია საჭიროა რევოლუციისათვის, იმდენადვე მოხდება მისი მთავარ საკითხად დასმა და რადიკალიზაცია. რამდენადაც სუსტდება კლასობრივი მომენტი რევოლუციაში, იმდენადვე დიდდება ეროვნული მომენტის ღირებულება. დასავლეთში რეპარაციის გაძლიერებამ კომუნისტები აიძულა გენერალური ყურადღება მიექცია ადმოსავლეთისათვის. ისეთი პასუხისმგებელი პირების დანიშვნა ადმოსავლეთში, როგორიცაა იოვე (იპაჩიანოვი), კარახანი (ჩინეზი), ბულუ მდი-ვანი (მონგოლეთში) და სხ. ნიშნავს ეროვნული საკითხის მთელი სიმძიმის წარმოდგენას, მიღებას. ეს ძალიან კარგად ესმის ბოლდუინ-კერზონის კაბინეტს, რაც ვერ შეუვსია ჯერ კიდევ მენშევიკებს (იხ. მათი ბერლინის ეურნალი „სოციალ. უწყება“ № 12, 1 ივლისის)

ადმოსავლეთის პრობლემა არსებითად ეროვნული კითხვაა. თავიდან მოიშორეთ ადმოსავლეთში მუშაობის აზრი და თქვენ ყოველგვარი ინტერესი დაგეგმავრებით ეროვნულ საკითხისადმი და ისე პირიქით, ადმოსავლეთში მუშაობისათვის თქვენ საგვით გარკვეული პოლიტიკა უნდა გქონდეთ ეროვნულ საკითხში.

დღემდე ადმოსავლეთი იცნობდა გაბატონებულ კაპიტალისტურ ქვეყნების ეროვნულ პოლიტიკას, თუ მან არ მიიღო ეს სიტყვა თავის ხარჯზე, ესე იგი თავისი ეროვნული მიზნების შეზღუდვა. ეს აზრი დღემდე მსოფლიოში არც ერთ სახელმწიფოს, არც ერთ ერს არ მიუღია, ამიტომაც ეროვნული საკითხიც რომ არსად არ გადაწყვეტილა საზრიანად და სამართლიანად.

შესძლებოდა კომუნისტები ამ დიდი საკითხის ამ გვარად გადაჭრას—ამ ეს არის საკითხი. ამ კითხვის პასუხის გასაცემად ჩვენ რამდენიმე მდგომარეობას მოგვგვამთ, როგორც თეორიული ხასიათის, ისე პრაქტიკულის. რუსები რომ იტყვიან „გზილმა ბიკა ზა როგა“, კომუნისტებმა ლონინგად ჩასქედნს ხელი ეროვნულ საკითხს და პრეტენზიის აცხადებენ მის რადიკალურად და რევოლუციონურად გადაჭრაზე.

გავსიჯოთ ეხლა კომუნისტების ამ პრეტენზიის ღირებულება.

თეოდ. ლლონტი.

მუსავატელების დეპლარაცია

ბაქო. 15 აგვისტოს ბაქოს გაზეთებში გამოქვეყნებულია მუსავატელების შემდეგი დეკლარაცია: ჩვენ ქვემოთ ამის ხელის მომწერნი, მუსავატის პარტიის ცენტრალური კომიტეტის და იმავე პარტიის წევრნი, ვიმყოფებით რა დიდი ისტორიული ხანის დასაწყისში; პასუხისმგებლობის სრული შეგნებით, რომელი პასუხისმგებლობაც ეკუთვნის თათრის ხალხთა მოწინავე ინტელიგენციას, ვიყავით რა ყოველთვის მომზად აღმოსავლეთის ხალხის განთავისუფლების ანტანტის ქვეყნების იმპერიალიზმის უფლისაგან, რომელნიც სასტიკად სთელავდნენ მათ ქვეშევრდომ აღმოსავლეთის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას მხოლოდ და მხოლოდ თავიანთი ინტერესების სასარგებლოდ და კერძოთი ხელს უშლიდნენ მუსლიმან ხალხთა ეროვნულ-განთავისუფლებას და დამოუკიდებელ პოლიტიკურ ყოველგვარ ექსპლუატაციის გარეშე ყოფა-ცხოვრებისაკენ ლტოლვის, საჭიროთ მიგვაჩნია განაცხადოთ შემდეგი: პოლიტიკური პირობების სრული შეგნებით ვაძლევთ სათანადო მნიშვნელობას აზერბეიჯანის განვითარებას, რომელსაც მოითხოვს მისი ისტორიული როლი აღმოსავლეთის ხალხთა ემანსიპაციის საქმეში, ჩვენ აღვნიშნავთ, რომ რუსეთის კომპარტიის მე-12 ყრილობის და ამიერ-კავკასიის კავის მიერ მიღებული დადგენილება ეროვნულ საკითხში უფრო რევოლუტორ ფორმებს აძლევს საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის ფარგლებში ეროვნებათა თანასწორობას; მეორეს მხრივ, აღმოსავლეთის ხალხთა განთავისუფლების ამოცანა უფრო მტკიცე საფუძვლებს პოულობს. ვიღებთ რა მხედველობაში ამას, და აგრეთვე იმას, რომ საბჭოთა ხელისუფლება, რომელიც არის მშრომელთა ინტერესების დამცველი და რომელიც პოლიტიკურ ცხოვრებაში იზიდავს ფართო მასებს, ამავე დროს კავკასიის

ეროვნებათა შორის დამყარა ნამდვილი მშვიდობიანობა, რომლის მომხრენი ყოველთვის ვიყავით ჩვენ, ვიღებთ რა მხედველობაში იმას, რომ აზერბეიჯანის ფართო მასებს, რომელნიც სისხლიდან დაიკავეს იმპერიალისტურ და შემდეგ სამოქალაქო ომის დროს, ფიზიკურად, ეკონომიკურად და კულტურულად, ესაჭიროებათ ხანგრძლივი მშვიდობიანობა, ჩვენ, ქვემოთ ამის ხელისმომწერნი, ვაცხადებთ, რომ კატეგორიულად ვიკისებთ ყველა იმთ, ვინც ამ საპასუხისმგებლო მომენტში გახსნიდნენ აზერბეიჯანში საბრძოლველ ფრონტს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, საიდანაც არ უნდა მივლით ამ ძაღლს საშუალებანი და დანაშაულებანი. ჩვენ, ვაცხადებთ თათრის ხალხთა მტრებად ყველა ადგილობრივ და საზღვარგარეთ არსებულ ორგანიზაციებს, პოლიტიკურ ჯგუფებს და ცალკე პირებს, რომელნიც მოუწოდებდნენ ყველას საბჭოთა აზერბეიჯანის ხელისუფლების წინააღმდეგ ბრძოლისაკენ. ამასთან ერთად ჩვენ მზად ვართ მთელი ჩვენი ძალებით დავეხმაროთ საბჭოთა ხელისუფლებას საბჭოთა პლატფორმაზე მუშაობის საწარმოებლად. ყოველგვარ ექვემდებარებას და საყვედურებს თავიდან ასაცილებლად, ჩვენ ვაცხადებთ, რომ მუსავატისტების არაღვალადურად არსებული ორგანიზაცია დაშლილად ითვლება.

მუსავატის პარტიის ცენტრალური კომიტეტი: აბდულვახაბ მაშად ზადე, სადინ კული ზადე, ალექსანდრ ზადე, გამილ კარაევი, ნოვრუზ აგაევი, სეიდ გუსეინ სადიხოვი, ნარიმან ბეგ ნარიმან ბეგილი.

პარტიის წევრები: კერბალაიხელი მიხაილოვი, ჯაფარ ჯაბად ზადე, რაჰიმ ვეკილოვი, ალა-ალაი ზადე, ალი ავხარ ნაჯაფოვი, მაშად სეიდ ახუნდო.

ახალი ამბები

ამხ. სემაშკო ჩამოხვდა. 15 აგვისტოს ტფილისში ჩამოვიდა რ. ს. ფ. ს. რ. ჯანმრთელობის სახალხო კომისარი ამხ. სემაშკო.

დემიან ბედნი ტფილისში. ტფილისში ჩამოვიდა ცნობილი პროლეტარული მწერალი ამხ. დემიან ბედნი.

ოშში დასახიარებულთა შემოწმება. ტფილისში არსებული საექიმო საექსპერტიზო ბიურო ამოწმებს სოციალურ უზრუნველყოფის კომისარიატის მიერ გამოგზავნილ ომში დასახიარებულთა ჯანმრთელობის კომისარიატის შენობაში (ოთახი № 16) სანშაბათობით, დილის 11 და 2 საათამდე.

ავადმყოფებთა გაგზავნა კურორტებზე. დაიწყო ავადმყოფების მეორე რიგის გაგზავნა კურორტებზე.

გამოცემათა ნიმუშების კატალოგი. იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა სახელმწიფო გამომცემლობის მიერ ზოგიერთ წიგნის ყდის ნიმუშების კატალოგი.

სახელმწიფო დრამა. სახელმწიფო დრამის დასი, რომელიც ამ ეჟამდე იმყოფება ბორჯომში,

ივ. ჯავახიშვილი ახალი შრომა

(ბიბლიოგრაფიული შენიშვნა). ჩვენი წიგნის ლარიბი ქელაბაქი შეუქმნევლად მდიდრდება: ამ დღეებში მას შეეძინა პროფ. ივანე ჯავახიშვილის ნაკვეთად ნაბეჭდი შრომა შემდეგი სათაურით: **ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ხელნაწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის**. ეს შრომა დაბეჭდილია „ტფილისის უნივერსიტეტის ზეამბის“ მეორე ნომერში და, რაკი მას განსაკუთრებული მნიშვნელობა და ინტერესი აქვს ჩვენი მშობლიური მეცნიერებისა და საერთოდ კულტურისათვის, ამიტომ იგი მკითხველს საზოგადოებისათვისაც ცალკე ყივნად ანუ ამონაკითხად იბეჭდება; თითონ უნივერსიტეტის მოამბე კი, რომელიც არა ნაკლებ საგულისხმოა თავისი შინაარსით და იქ აღძრულ სხვა და სხვა კითხვებით, სამწუხაროდ, წიგნის ქულბაქს არ მოეგონება: იგი მარტო მეცნიერთა წრეში იქნება დარგებულ-გავრცელებული.

ჩვენი დაუცხრომელი მეკლავარის ბ-ნ ივანე ჯავახიშვილის—ეს შრომა წარმოადგენს ოდნავ შევსებულს იმ წინასწარ მოხსენებას, რომელიც მან წაიკითხა მინდინარე წლის თებერვალში საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საჯარო კრებაზე.

ეს მოხსენება ახლად აღმოჩენილ ხელნაწერების შესახებ ბ-ნმა ჯავახიშვილმა მეორე მოხსენებასთან ერთად ქართული ანბანის წარმოშობის შესახებ—წაიკითხა და ამრიგად პირველი საკითხი დაუკავშირა მეტად ცხოველ და საგულისხმო ჩვენს კულტურულ-ისტორიულ პრობლემას, რომელიც, სამწუხაროდ, სხვა მის ნაშრომებთან ერთად, ჯერ კიდევ დაუსტამბავია. ჩვენი ამიტომ საშუალება არა გვაქვს ამ მეტად საინტერესო საკითხის (ქართული ანბანის წარმოშობის) შესახებ მკითხველს საზოგადოება გავაცნოთ მის თანადროულ მეცნიერულს შექმნასა და ცხადყოფას. ვიტყვით მხოლოდ გარკვეულ, რომ ჩვენი ანბანის დასაწყისი იკარგება შორეულ საუკუნეთა წყნადილში, რომ იგი წარმოიშვა სემანთ ჯგუფის ერებთან კულტურულ—პოლიტიკურ ურთიერთობის შედეგად, რომ მას აქვს თავის დაწერლობით და ასოთა რიგით საოცარი მსგავსება და შესატყვისობა ამ ერთ ანბანთან და რომ შეიძლება იგი ქართული ანბანის შედგენილი

ამზადებს გერმანელ მწერლის გ. კაიზერის პიესას: „გახს“, რომელიც მომავალ სეზონში დაიდგება რუსთაველის თეატრში.

ქართული ენის კურსები. საბჭოთა მოსამსახურეების კავშირმა გახსნა ქართული ენის კურსები თავის წევრებისათვის.

ტფილისის მაზრის რაიონებით დაყოფა. განზრახულია ტფილისის მაზრის რაიონებით დაყოფა, რომელიც მოგვალ თემების მაგიერ დაიყოფა 4 რაიონად: გარე-კახეთის, ასურეთის, აღმოსავლეთის, მანგლისის და წალკის. აგრედევ განზრახულია დაარსდეს ქალაქის განაპირა მეხუთე რაიონი.

ტყის მოწყობის მიზნით. ტყის წესიერი ექსპლუატაციის მიზნით ტყეთა აღწერა და გამოკვლევა უკვე დამთავრდა აწყურის და ქობულანის მაზრაში, აღწერა სწარმოებს—ქიათურის, ბელიკლიურის, სიღნაღის და ტფილისის მაზრაში. ამ დღეებში დაიწყება მუშაობა აღწერისათვის ახალციხის და სურამის მაზრებში.

ევნატე ნინოშვილის ძეგლი ჩაქვავში. ჩაქვის სახალხო მანულების მმართველობამ მოქანდა-

ყოფილიყოს, თუ უწინარეს რა მეშვიდე საუკუნეში მაინც ქრისტეს წინდ.

ასეა თუ ისე ჩვენ გულწრფელად ვეწუხართ, რომ ამ მოხსენების გაცნობა არ შეუიღონ ჩვენი საზოგადოების დიდ ნაწილს, რომელმაც პირადად ვერ მოისმინა ეს მეტად საინტერესო და ღრმა მნიშვნელობით აღსავსე მოხსენება.

მაგრამ მიუბრუნდეთ ბ-ნ ჯავახიშვილის შრომას „ახლად აღმოჩენილ უძველეს ხელნაწერთა შესახებ“. ეს ხელნაწერები წარმოადგენენ ეგრეთ წოდებულ პალიმფსტებს ანუ გარეცხილ-გადაფხეკლს ეტრადს, რომელზედაც ძველი ტექსტი გარეცხილად და გადაფხეკით მთლად ან ნაწილობრივ წაშლილია და მის ნაცვლად, ხშირად გარდღივად, ახალი, ე. ი. მერმინდელი ტექსტი იწერება. ცხადია, ძველი ტექსტი ყველაზე ერთნაირად ვერ არის წაშლილი, ალბათ იგი თავისუფლად ან ერთნაირი სიმძლავრით წაიშლია იქიდან; ერთი სიტყვით, მას აქვს უტყუარი ნიშანი იოჯგლ დაწერისა ანუ პალიმფსტებისა. ამიტომაც პალიმფსტების პირველ გახსნივას და შესწავლას დროს, რაკი იგი შედარებით ძნელად იკითხება, მათ ათარიღებენ პალეოგრაფიულ გზით და მეთოდებით.

პალეოგრაფია კიდევ ის სამეცნიერო დარგია, რომელიც ხელთახველების სწავლობს და იკვლევს მისი გარეგანი ნიშნების მიხედვით: მასალით და უნაირად სხვა და სხვა ასოს დამწერლობით, მოხაზულობით, რომელთაც სხვა და სხვა დროს სხვა და სხვა სახე და მოხაზულობა ჰქონდათ. უცხოეთში და რუსეთშიც ეს სამეცნიერო დარგი საქმალად განვითარებულია; მისი დასკვნა-დებულებანი მწერლობის გინა ენათ მეცნიერების მეკლავს, ან კიდევ ისტორიკოსს ძალიან უმსუბუქებენ მუშაობას. ეს დარგი იქ, უცხოეთში, ისე ფართოდაა დაყენებული, რომ მისგან მეორე ხარისხიანი უფრო სპეციალად დარგები აღმოცენდნენ, სახილობრი: დიპლომატიკა, რომელიც ათასწიერი იურიდიულ აქტებს უნაირადსა და პალეოგრაფიული თვალსაზრისით იკვლევს, ნუმიზმატიკა, რომელიც ფულებსა და მონეტებს დარგს ეხება, ეპიგრაფიკა, რომელიც წარწერებს წაწლობს განსაკუთრებით შენობებსა, ქვებზე, ლიონებზე და მისთანებზე და სფრაგისტიკა, რომელიც ბეჭდების ზეწარწერებს იკვლევს. საქართველოში კი მეცნიერება განვითარების

კე იაკობ ნიკოლაძეს შეუკეთა ევნატე ნინოშვილის ძეგლის გაკეთება, რომელიც დაიდგება აღნიშნულ მამულების ერთ ერთ თვალსაჩინო ადგილზე.

საკავშირო საზოგადო-სამეურნეო გამოფენის გახსნა. გუშინწინ, 15 აგვისტოს, მოსკოვში გაიხსნა საკავშირო რესპუბლიკების საზოგადო-სამეურნეო გამოფენა.

პოლტავულის ტენიკუმი. პროფკავშირის საბჭოს კულტგანყოფილებამ მიმართა ყველა პროფკავშირებს, რათა პროლეტკულტის ტენიკუმში ჩარიცხული წევრები აღნიშნულ ტენიკუმში გამოცხადდნენ 20 აგვისტომდე.

„მისტრია ბუფე“. მთავარ სახელოვნო კომიტეტმა დაადგინა შეიძინოს საერთო რეპერტუარში შესატანთ ტიკიან ტაბიძის მიერ თარგმნილი მაიაკოვსკის პიესა „მისტრია ბუფე“.

ახალი სკოლები. განათლების ხაზ. კომისარიატის დადგენილებით გადიდებული იქნა უკვე დამტკიცებული ცხრაწლიანი სკოლების ქსელი ორი სკოლით, რომლებიც გაიხსნება ახალციხეში ქართველ და სომეხ ბავშვებისათვის.

შეფობის დღის აღსანიშნავად. ამიერკავკასიის რკინის გზის დაცვის მე-2-რე რაიონის კომ-აჩეიკის და კულტგანკომის ინიციატივით ვერას 19 აგვისტოს მიემგზავრება ჯგუფი სოფ. დუხეშა (გორის მაზრა), სადაც გამართავს საღამოს შეფობის დღის აღსანიშნავად შემდეგი შინაარსით: 1) მოხსენება შეფობის მნიშვნელობაზე, 2) კულტგანკომისისათან არსებულ ქართულ დრამატული

დასის მიერ წარმოდგენილი იქნება კომედია „რაიკ გინახავს ველარ ნახავ“ პ. მოქ. ა. ცაგარელისა, 3) დივერტისმენტი. მონაწილეობას მიიღებს ქართული ძალები. საღამოზე დაუკრავს საკუთარი სამსუდარო ორკესტრი.

ახალი სკოლა. დილის ბავშვთა სასახლეში აცხადებს, რომ ა. გ. რაიონში იხსნება სკოლა ქართული ენის შესასწავლად. მსოფელით შეუძლიათ ჩაეწერონ თავთავიანთ ადგილკომებში, გადასახადი ხელმისაწვდომია.

ვაგონი მუზეუმი. 14 აგვისტოს ბორჯომის სადგურზე მოვიდა. ჯანმრთელობის განყოფილების ვაგონ-მუზეუმი. წაითხული იქნა ლექცია ქულქუნი და ალკოჰოლიზმზე სურათების ჩვენებით. მსმენელნი დარჩნენ ფრად კმაყოფილნი და გამოთქვეს სურვილი, რომ მზავსი ლექციები იკითხებოდნენ ხშირად.

პარტიული

ტფილისის კომიტეტი აცხადებს, რომ მანდატების შესამოწმებლად დანიშნულია დამატებითი დღეები:

1	რაიონისათვის—	18	აგვისტო.
2	„	—20	„
3	„	—21	„
4	„	—22	„

შემოწმება იწარმოებს საღამოს 6—8 საათამდე. ტ. კომიტეტის მდივანი სეფერთელაძე.

სოციალური და ადგილობრივი მოვითაზრებები

(სახელმძღვანელო წესები № 1)

1. ფაბრიკა-ქარხნის და ადგილობრივი კომიტეტის მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია სოციალური დაზღვევის საქმის წესიერი მოწყობა. ადგილობრივი კომიტეტის მახლობელი მონაწილეობით არის მხოლოდ შესაძლებელი ამ საქმის გაღრმავება და მტკიცე საფუძველზე დაყენება. ფაბრიკა-ქარხნის კომიტეტი აწესებს მჭიდრო კავშირს დაზღვეულთა და დაზღვევითა შორის, ამასთანავე იგივე ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტი აძლევს ყოველგვარ ცნობებს და განმარტებებს დაზღვეულთ არსებულ დეკრეტებისა და ისტრუქციების მიხედვით.

ამიტომ ცალკე დადგენილებანი უნდა გამოკრულ იქნეს წარმოება-დაწესებულებებში თვალსაჩინო ადგილზე.

აქედან ფაბრიკა-ქარხნების ადგილობრივი კომიტეტის მოვალეობა:

1. დაწესის მჭიდრო კავშირი დაზღვეულთა და დაზღვევ კასის შორის.

2. ავადმყოფებზე შემოიღოს კონტროლი მათთვის დაწესებულ მეტრნალობის სისწორითა და მიზანშეწონილად გამოყენებისათვის, შემოიღოს ავადმყოფების გამო შევსებაში წასულთა აღრიცხვა, თვალყური ადევნოს, რომ ავადმყოფი მუშა-მოსამსახურე ასრულებდეს დაზღვევ კასის მიერ დაკანონებულ წესებს, რომ ავადმყოფობის გამო შევსებაში წასულ ექიმთა მიერ დაწესებულ ვადამდე არ შეუდგეს სამუშაოს ასრულებას; არ უნდა იქნან დაშვებული სამუშაოზე ფეხმძიმე ქალები ექვს-რვა

კვირა—მშობიარობამდე და 6—8 კვირა მშობიარობის შემდეგ; დახმარება გაუწიოს დაზღვევ კასის კანტროლის წარმოების დათვალერების დროს აცნობოს კასას ავადმყოფთა მიერ წესების დარღვევის შესახებ.

3. იქონიოს დაზღვევ კასის ექიმთა სია და ცხრილი მუშათა ამბულატორიებში მიღების დროის განსაზღვრის შესახებ; დაზვეულებს მიაწოდოს ცნობები სამკურნალო დახმარების წესის გარშემო (იხ. დაზღვევის წიგნაკი), მიიღოს და გამოგზავნოს კასისა და დაზღვეულთა საჩივრები სოცდაზღვევის კასის ექიმების შესახებ.

4. შემოწმებულ იქნეს წარმოება დაწესებულებათა მიერ ხელფასის შესახებ გადმოგზავნილი ცნობები და თვალყური ედევნოს საპროცენტო ანარიცხის სრულად და თავის დროზე გადახდას.

II აღნიშნულ მოვალეობათა შესასრულებლად აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს სახელმძღვანელო დაუყოვნებლივ მიღებულ იქნეს შემდეგი:

1. მუშა-მოსამსახურეთა დროებითი შრომის უნარის დაკარგვისა ან ფეხმძიმობის გამო სამსახურიდან განთავისუფლების დროს.

ა) ავადმყოფებს პირველ ნაწილ შეესტეული ბიულეტენი მიეცემათ იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი წარმოადგენენ კასის ექიმებისა, ამბულატორიების და საავადმყოფოების მიერ გაცემულ მოწერილობებს სათანადო ხელწერითა და ბეჭდის დასმით.

ჯავახიშვილის აფიქრებინა, რომ ქართული ასომთავრული „ბანი“ თავშეკრული უნდა ყოფილიყო. და მართლაც მეცნიერის ინტუიცია სწორი აღმოჩნდა: ბოლნისის სიონზე ბ-ანი თავშეკრულია. რაც შეეხება მცხეთის ჯვარის წარწერას, იქ ეს ასო ოდნავ თავგახსნილია.

ამრიგად, პირველი ძეგლის წარწერა იმ დროს ეკუთვნის, როცა ბ-ანი თავშეკრულად იწერებოდა, ხოლო მეორე ძეგლის—მცხეთის ჯვარის მონასტრის—წარწერა მერმინდელ დროს, როცა იგი უკვე თავგახსნილად იწერებოდა. და თუ მოხერხებოდა დათარიღება ორივე წარწერისა, მაშინ შეიძლებოდა ამ გზით იმ დროის დათარიღება, თუ როდის, რომელ საუკუნეში შეიკვალა ასო ბ-ანის მოხაზულობა. ამას კი მნიშვნელობა აქვს, რომ მისი მიხედვით შეიძლება უთარიღო ძეგლი ხელთახველების დათარიღება. და სწორედ აქ სვლავდებოდა ბ-ნ ჯავახიშვილის კვლევის უნარიანობა და ინტერპრეტატორის ნიჭი.

ჩვენ, რა თქმა უნდა, ვერ შეუდგებით შრომის მთელი შინაარსის ვრცლად გადმოცემას—დრო და ადგილი ამის ნებას არ გვაძლევს—და ვკეყოფილდებით იმით, რომ ბ-ნმა ჯავახიშვილმა შესძლო ზედმიწევნით სწორი დათარიღება ამ ორივე წარწერისა: პირველი—ბოლნისის სიონის საკულთიგელის კონქის წარწერა, სადაც მოხსენებულია დიმიტრი ბოლნისის ეპისკოპოსი, უნდა ეკუთვნოდეს მე-V-ე საუკ. დამლევს ან VI საუკ. დამდევს და არა უგვიანეს მე-VI საუკ. პირველი მეოთხედისა. რაც შეეხება მეორე ძეგლის (მცხეთის ჯვარის მონასტრის) წარწერას, იქ რამდენიმე წარწერაა: დიმიტრის, 591—600 წ. შუა ამოჭრილი, ადრინდელი ანუ აღარარსესი 626—634 წ. შუა და ქობულ-სტეფანესი, დაახლოებით VII საუკ. შუა წლებში ამოკვეთილი.

ეს ორივე ძეგლი პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით (თავშეკრული ბ-ანი პირველში, ოდნავ გახსნილი მეორეში), როგორც აღნიშნული იყო, ძირითად მისაწვევი ძეგლებია და მათი დათარიღების შენდგომ უკვე შესაძლებელია უთარიღო ხელთახვერთა დათარიღება, ამ შემთხვევაში ახლად აღმოჩენილ პალიმფსტებისა.

ბ.

(შემდეგი იქნება)

შენიშვნა: დაზღვეულთა ოჯახის წევრებზე ზოგადი პრინციპი არ გავრცელდება.

ბ) დაზღვეულთათვის ბიულეტენი მერტალ საჭირო საბუთის წარმოდგენის შემთხვევაში იგი დამზღვევ კასიდან დახმარებას იღებს თავის ჯამაგირის ნაცვლად, რაც მას არ ეძლევა დაწესებულებიდან ავადმყოფობის მთელ დროის განმავლობაში. ამიტომ ადგილკომში აუცილებელია უნდა იქონიოს დაკვირვება, სისწორე და სიფრთხილე ბიულეტენში შრომის უნარის დაკარგვის და ფაქტურად გაცემულ ხელფასის აღნიშვნის დროს დაწესებულებადამზღვევის ბუხალტერიის კონტროლის საშუალებით.

გ) უნდა დამახსოვროს, რომ ავადმყოფობის გამო სამსახურიდან თავისუფლდება ყველა დროებით შრომის უნარ დაკარგული დაზღვეული, ავადმყოფი დასახიერებელი და ფუნქციონირი. უკანასკნელი სამსახურში არას გზით არ დიშვება მშობიარობის წინ 6—8 კვირისა და მშობიარობის შემდეგ 6—8 კვირის განმავლობაში (იხ. შრომის კანონთა კრებული. დადგენილება 12, გვერდი 19).

დ) დაბადების, რძისა და სამარხის დახმარებათა მისაღებად უნდა გაცემულ იქნას სათანადო საბუთები.

შენიშვნა: 1. დაბადების, რძისა და სამარხის დახმარებათა მისაღებად აუცილებელია უნდა წარმოდგენილი იქნეს კასის ექიმთა მიერ გაცემული სათანადო მოწმობები, რომლის ძალითაც იგზავნებიან დაზღვეულები დამზღვევ კასაში დახმარებათა მისაღებად.

შენიშვნა 2. თუ ვინიცმან ფუნქციონირ ან მშობიარე დაწესებულებიდან დროს გარეშე ავად გახდა, იგი თავისუფლდება, როგორც ავადმყოფი, არსებულ საერთო წესის მიხედვით.

საუბარი გზით

შინაური საქონელი და მისი გონიერი მოვლა-მოყვანა

(დასასრული)

გონიერსა და მცდელს ადამიანს ბევრი რამ შეუძლიან საქონლის გაუკეთებელში. მაგალითად: მოესურვა ადამიანს, რომ იმისი ღორები სულ ცარილი ქონი იყოს, და მოახერხებს კიდევ ამას: მოესურვა კიდევ, რომ იმისი ცხვრები უფრო ღონიერი იყვნენ, რომ 20 და 30 ფუთის მაგიერ ზოდონ 100 და 150 ფუთი, —ამასაც მოახერხებს; მოესურვა, რომ ფარა იმისი ცხვრისა აძლევდეს მას აბრეშუმისაგან წმიდა მატყლს, რომლის ფასი გაცილებით აღემატება ეხლანდელსა—ამასაც მოახერხებს: —მოესურვა, რომ მისი ცხვრები აჩენდნენ არა სხვა და სხვა ფერის ბატკნებსა, არამედ ერთნაირსა, ესთქვათ, სულ შავის ფერის ბატკნებსა, —ამასაც მოახერხებს, ერთი სიტყვით, რას არ მოახერხებს ადამიანი, თუ კი ექნება იმის მცირეოდენი მოსაზრება, გონიერება და ცდა! თქვენ იტყვიან, რომ ჩვენ ვაზიანდებთ ადამიანს ხელისუფლება-ძლიერებასა, მაგრამ სულაც არა. ამას ქვემოთა შეიტყობთ.

როგორ იქცევა კარგი მთესველი, როცა სურს, რომ კარგი პური მოუვიდეს? ის არჩევს ამისათვის მოსავლის უკეთესს მარცხალს! ის სწორით ასევე იქცევა საქონლის კარგი მომწეხებელიც, ე. ი., კარგის საქონლის მომწეხებისათვის ის ინახავს მხოლოდ საუკეთესო ჯიშის დედულ-მამალს.

ახლა, რა საფუძვლით და რომლის კანონით იქცევიან საქონლის მომწეხებელი ასე? იმ საფუძვლით და იმ კანონით რომ ბუნებაში, როგორც ადამიანები ისე ცხოველები აუცილებლად გადასცემენ თავიანთ შვილებს და შვილი-შვილებს ზოგიერთ თავიანთ თვისებებსა, მაგალითად: კარგი იორლა ცხენისაგან ჩნდება ისევე კარგი იორლა კვიცი—ბევრის რძის მომცემი ძროხისაგან ჩნდება ამ გვარივე ძროხა: —ჯან-მრთელი და ლამაზი მშობლისაგან ჩნდებიან ჯან-მრთელი და ლამაზი შვილები და სხვ.

გარდაიცვან ჩამომავლობას არა მხოლოდ მუდმივი თვისებანი ჯიშისა, როგორც მაგალითად, რქიანს—რქები, ჩლიქიანს ჩლიქები და სხვ., არამედ შემთხვევითი თვისებანიცა. მაგალითად: დაიბადა ერთი ღამეს ცხვრის ერთი ფარაში სუსტი და ავადმყოფი, მაგრამ აბრეშუმისაგან ბეწვის მექონე ბატკანა. სთქვამს მეცხვარეებმა: „ეს დიდხანს გვირცხვლებოდა, ცოტა მოიხარდის და დავკლავთ“. მაგრამ იმერალა ღმერთმა ეს საცოდავი და რამდენიც იზრდებოდა, ბეწვიც უკეთესდებოდა. ეს იყო მიზეზი, რომ ბატკანი მეცხვარეებმა დასაკლავათ ათარ გაიმეტეს და როცა გაიხარდა, გაჩნდა იმ ფარაში ამ ბატკნისაგან სწორეთ იმ გვარივე აბრეშუმისაგან წვირის ბეწვის მექონე ჩამომავლობა. ბოლოს, საქმე იქამდე მივიდა, რომ მეცხვარეებმა სხვა ჯიშის ყველა ცხვარი გაწყვიტეს და მხოლოდ ამ სუსტი ბატკნის ჩამომავლობა-და დაიბარუნეს, რადგან მატყლი ამ ცხვრებისაგან ერთი სამად უფრო ძვირად იყიდებოდა.

აი მეორე მაგალითიცა. ჰყავდა ერთს თავადსა ცხვრის პატარა ფარა. გაეკეთებინა მთლიანად ფარები და შეარქიანა იქ ღამითა. მაგრამ, ცხვრები ისეთი ფიცხი ჯიშისანი გამოდგნენ, რომ ორიოდეს

ე) იმ შემთხვევაში, როცა კასის მონაწილე ავადმყოფობის გამო თავისუფლდება მხოლოდ სამი დღით, მას ბიულეტენი არ მიეცემა და დახმარება ეძლევა სამსახურის ადგილზე დაწესებულება წარმოების აღმშენებლის მიერ საამისოდ ექიმებისაგან მიცემულ და ფაბრიკა-ქარხნის კომიტეტის მიერ შემოწმებულ მოწმობათა წარდგენის შემდეგ.

III საპროცენტო ანარიცხის შემოტანის თვალყურის დევნების შესახებ.

1. წარმოება-დაწესებულებაში მუშა-მოსამსახურის მიღებისთანავე ამის შესახებ უნდა ეცნობოს დამზღვევ კასის მიღების დროის აღნიშვნით მოწმობის აღრიცხვაზე აყვანისათვის

2. მუშა-მოსამსახურის ყველა სახის ლიკვიდაცია უნდა ეცნობოს კასის ლიკვიდაციის დროის აღნიშვნით.

3. ყოველთვიურად თავის ბოლოს დამზღვევ კასაში წარმოდგენილ უნდა იქნეს თავის რაიონის წარმომადგენელ მუშა მოსამსახურეთა სია საქონლის მანეთის კურსით ჯამაგირების (ძირითადი, ზედმეტი სამუშაო და სხვა) აღნიშვნით.

4. თავის რაიონის წარმომადგენელის დროს უნდა შემოწმებულ იქნეს წარმოებათა მიერ დამზღვევ კასაში საპროცენტო ანარიცხის შეტანა და ყველა შემწეულ უსწრობის შესახებ ცნობის დამზღვევ კასსა.

5. ფაბრიკა-ქარხნის კომიტეტს არა აქვს უფლება კასის დაუკითხავთ მწარმოებელს მისცეს რაიმე შელავითი შესატან ფულის პროცენტის დაკლუბისა და ვადის გადღების სახით და სხვა. ამასთანავე არ უნდა იქნეს დაშვებული დაზღვეულებზე კასის ანგარიშში სხვადა სხვა სახის დახმარებათა გაცემა.

დამზღვევი კასის პრეზიდიუმი.

გარდა ყველანი ფარების ღირებზე გადმოტენ და აქეთ-იქით დაიფანტნენ. მეცხვარე რას წვალდებით ცხვარი ისევე ფარებში შეიყვანა, მაგრამ ტყუილად: ცხვრები თავისას არ იშლიდნენ და ფარებიდან ისევე ხტებოდნენ ღირებზედა. აცნობა ცხვრის პატრონსა. მოვიდა თავადი და ნახა, რომ მთელი ფარა ფარებს გარეთ არის დაქასული. უბრძანა მამა თავადმა მეცხვარესა, რომ ყველა ეს რეტყანი ცხვრები ყაბაბისათვის მიეყიდნა და ის ერთი წყვილი კი, რომელსაც ფეხები მოკლე აღმოუჩნდა, ხალხითი უფრო წყნარი და ბეწვიც უკეთესი, შეე ნახა. გავიდა რამდენიმე წელიწადი და თავადსა ჰყავდა მხოლოდ იმისთანა მოკლე ფეხებიანი, წყნარი და წვარს-ბეწვიანი ცხვარი, როგორიც ის ორი ცხვარი იყო.

გარდაიცვან მშობლისაგან შვილს აგრეთვე ხასიათი, ზნე ჩვეულება, ქცევა და სხვ. მაგალითად: ანჩხლის, დამბულის ძაღლისაგან უმეტესად ჩნდება ამ გვარივე ანჩხლი ჩამომავლობა, ხოლო წყნარის მორჩილის მეძებრისაგან ამ გვარივე წყნარი და მორჩილი მეძებრები. აი ცხოველების ამ თვისების მონაშრობით მართლაც და შეუძლიან ნამდვილი სასწაული შექმნას ადამიანმა!

აი, შენიშნა საქონლის პატრონმა, რომ იმის საქონელში დაიბადა ხარი მეტათ მსხვილი, სხვაზე გაცილებით ზორბა. თუ ეს კაცი მოკლებული არ არის მცირე მოსაზრებას, გონიერებას და ცდასა, ის როდეს გაჰყავდის ამ ხარსა, რაც უნდა დიდი ფული აღმოიქმნას! პირიქით, შეინახავს ამ ხარსა თავის საქონლის ბუღათა და თითონ ფურცელსაც საუკეთესოდ ამოურჩევს. გავა რამდენიმე წელიწადი და ამ უკეთესი ხარ-ფურცლის ჩამომავლობა სრულებით ამოვადებს წვირის და ცუდს საქონელსა.

აი ამ საშუალებით მიაღწიეს ინგლისელებმა იქამდე, რომ იმართი ძროხა იძლევა რძესა და ხორცსა ერთი-ორად მეტსა! დიდა, სწორით რომ ყველაფერი შეუძლიან ადამიანს! იმისთვის როდეს ძნელი მოაშენოს ფრინველი თუ სხვა ცხოველი წინათვე განზრახულის ფერისა! საქიროა მხოლოდ ცოდნით შეარჩიეთ სასურველი ჩამომავლობის გვარი, ე. ი. დედულ-მამალი. ერთი გამოცდილი ფრინველების მომწეხებელი ინგლისელი ასე იტყვოდა ბოლომდე: „მომბრძნეთ, რა ფერის მტრები გნებავთ მოგაშენო და მე შევიძლებ ამასა სამს წელიწადში!“. მომბრძნეთ, რა სახის თავი და ნისკარტი გნებავთ ჰქონდეთ მათაო და ამასაც ექვს წელიწადში მოგანებებო!

აი საქმენიც მეორე ინგლისელისა, სახელად ბაქუელისა, რომელმაც შექმნა სრულიად ახალი ჯიშის საქონლისა. —რადგანაც რქები შინაურს საქონელზედა არც საქიროა და ზოგჯერ საშიშროც არის, ბაქუელმა ისე აწარმოვა თავისი საქონლის მომწეხება, რომ მოაშენა სრულიად ურქო საქონელი. ამავე ბაქუელმა შექმნა ისეთი ჯიშის ხაკლავის საქონლისა, რომელსაც მეტის-მეტათ ეზრდება სახორცე ნაწილები, ე. ი. მეგრები და თიგობები, ხოლო თავი ფეხები, მუცელი და ყველა ძვლები კი მეტათ ნაკლებათ. ყველაფერს ამაში იმით ახერხებდა ბაქუელი, რომ ის დიდის სიბეველით არჩედა სასურველს დედულ-მამალს!

ო. როსტომიშვილი.

(გაგრძელება იქნება).

ბათუმის აგ-კარგი.

დასავლეთ საქართველოს ერთ საუკეთესო კუთხეს შეადგენს ქალ. ბათომი და მისი მიდამოები, რომელიც თავის გეოგრაფიულ მდებარეობით შემოკლებულია ირგვლივ სხვა და სხვა კულტურულ მცენარეებით, და დასავლეთით კი შავი ზღვით.

აი ასეთ მშვენიერ ქალაქს, რომლის მცხოვრებლებიც შეადგენს რამდენიმე ათასეულს სულს, ცოტა რომ ვსთქვათ ქართველები ნახევარს მაინც უდრის. ბათომი, ის ნათესადგურია, სადაც უცხოეთიდან მოსულ პირებს პირველათ უხდებოდა შესვლა საქართველოში.

აი ასეთი მდებარე კუთხე საქართველოს ერთეულისა ძრიელ ჩამოშორებულა ქართულ კულტურულ მუშაობას. ვერც ერთ სამკითხველოში, კლუბში და სხვა ორგანიზაცია ვერ შეხვალთ, რომ წარმოდგენილი სურათი ქართულ კულტურისა, არამც თუ უცხოელს არამედ ქართველს, რომელსაც პირველათ უხდებოდა ბათუმის აგ-კარგის გაცნობა, ვერ იტყვის, რომ ბათომი საქართველოს კუთხეა. გამოდის ადგილობრივ ერთ-ერთი ქართული გაზეთი „ბრძოლა“, მაგრამ სამწუხაროდ ქართველი მუშა, და ინტელექტუალი ძალიან იშვიათად ავრცელებს მას, ამის შემდეგ ზედ მეტია ლაპარაკი მასზე რომ, რომელიმე სამკითხველოში იგი ნახოთ, თუ რომელიმე სამკითხველოს გაგვს თავის თავით არ მოუსტრევია მისი გამოწერა. ასეთი სამწუხარო მოვლენა თვით ქართველი საზოგადოების უილაჯობას, და ქართულ კულტურის აღორძინების გულგროვლათ მოპყრობას უნდა მიეწეროს. დროა, ერთ-ხელ და სამუდამო გამოიღვიძოს ქართველმა საზოგადოებამ, ჩამოშორდეს ძველ „ჩინოვნიკურ ტენდეციებს“, იგრძნოს რომ ის დღეს თავისუფალ და კულტურულ გზაზე დამდგარ სოც. საქართველოს ეფარგლებშია, რომ საქართველოს სჭირია თავისი კულტურის თავის ღირებზე დაყენება. ნუ მიეცემათ იმ ლეტარგიულ ძილს, რომელშიაც დღემდის იმყოფებიან რაიმე სულის კვებით.

სოფოკლი.

წალვერი. ყველაზე უფრო საკვირველი წალვერში მოაგვარაქეთა და გზათ გამგელობათვის ის არის, რომ აქაურო აფთიაქიც მოაგვარაქვას და სალამოს 7 საათზე მისი კარები გამოიკეთილია. ისეთი კურორტი, როგორიც წალვერია, უნდა გულისხმოდეს მოაგვარაქეთა შორის მრავალ ავადმყოფებისა და ჯან-სუსტების არსებობას და საოცარია, რათ არ უწევს ანგარიშს ამ გარემოებას ბორჯომის საფარმაცო განყოფილება.

წამლის შესაკვეთად უთუოდ კარგა დიდი რიგის გადატანა დაგვირდებოდა, თუ ნერვიულად განწყობილ ფარმაცევტებიდან სხვა სიამოვნებაც არ მიიღეთ. წამალი მზადდება არა უადრეს 20—24 საათისა (გამონაკლისი იშვიათი შემთხვევა!), თუ კი ამ ხნის შემდეგ ავადმყოფისთვის მაინც საჭირო იქნა წამალი.

სალამოს 7—8 საათისათვის აფთიაქი უკვე აღარ მუშაობს და არც მორიგება არსებობს; საკვირების დროს მეორე დღიდან უნდა იცოდეთ და შემდეგ კიდევ 24 საათიც წამლის მისაღებად... არა ნაკლები სურათია ადგილობრივ ფოსტა-

ში. 4—5 ფოსტის მოსამსახურედან, მხოლოდ ერთი აწარმოებს კორესპონდენტის მიცემა-გაცემას, დეპეშების მიღებას და სხვა ოპერაციებს. მოაგვარაქვებს ხშირად უხდებოდა საათობით ცდა ფოსტის ფანჯარასთან, რათა ერთი წერილის მარკა მიიღონ ან დაზღვეული ბარათი მისცენ. კორესპონდენტების მოკითხვის დროს სრული უყურადღებობაა; პასუხს ზეპირად, შთავონების ძალით იძლევიან; ამის შემდეგ ფოსტის მოსამსახურე მოაგვარაქევს აყვადრიან იმ 24 საათის მუშაობას, რომელიც თითქმის ამ ჟამად უხდებოდა.

მეტი საშვალეა არ არის, ყოველივე გადატანილ უნდა იქნეს მოაგვარაქის ნერგებსა და მოთმინებაზე. ნუ თუ ეს ყოველივე ყურიდლების დროსი არ არის?

გოჩა.

სოფ. კაკაბეთი (სიღნაღის მაზრა). დიდი ხანია არ არის მას შემდეგ, რაც სოფ. კაკაბეთში მოდის გაზეთი „ტრიბუნა“. როგორც გადმოგვცემს ამხ. დათიკო ხელაძე გაზეთები იგზავნება რედაქციისაგან, რისთვისაც დიდ მადლობას ვცირავთ როგორც რედაქციას ისე ამხ. ხელაძეს გაზეთების გავრცელებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ გაზეთი ერთი ცალი მოდის, მას მაინც მთელი სოფლის ხალხი ღელავს და მადლობას უძღვნის რედაქციას ასეთი კულტურულ დახმარებისათვის.

სოფ. კაკაბეთის მცხოვრებთა მონდობილია **ლ. მჭედლიშვილი.**

წამილი რადიკალის მიმართ

ამხ. რედაქტორ! გთხოვთ თქვენი გაზეთის საშუალებით გამოამცხადებინათ შემდეგი:

დღემდის მე ვიყავი უპარტიო, მაგრამ დღეს პარტიის გარეშე ყოფნა დიდ დანაშაულად მიმაჩნია. საქ. მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა საოპოპულტური პარტიის სამი წლის მუშაობამ დანარწმუნა, რომ მას აქვს სწორი გეზი აღებული ერთი სოციალისტის დაცვაში, რისთვისაც წინადაც თანაფუარძლობდი ამ პარტიას: ამისათვის მსურს გავაღებ ამ პარტიის ერთგული წევრი და ვიმუშაო მთელი ჩემი შეგნებით.

ალექსანდრა ნიკოლოზის ასული იაშვილი.

ამხ. რედაქტორ! გთხოვთ თქვენს გაზეთში მოათავსოთ შემდეგი: მე ვიმყოფებოდი 1918 წლიდან საქ. სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიაში 1920 წლამდის; მას შემდეგ ვიმყოფებოდი ყოველგვარ პოლიტიკურ პარტიების გარეშე, დღეს სრული შეგნებით, რომ პოლიტიკური უმოქმედობა დაუშვებელია, მსურს ვიმუშაო მეპარტყენე სოც.-ფედ. პარტიაში, რომელიც მტკიცეთ იცავს ერისა და მშრომელი ხალხის ინტერესებს.

ალექსანდრე ჭიარაძე.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.

გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

დასკრები სიღნაღის მოწმობა აღებულია სისხლის სამართლის მილიციაში სოფიო ივანეს ასული დავიდიშის სახელზე ჩამოთვალს გაუქმებულად.

№ 141.

ამიერ-კავკასიის რკინი გზის მმართველობა ავით აცხადებს,

რომ სამშაბათს, 21 აგვისტოს, დილის 10 საათზე ტურისის სალიკვიდაციო საწყობში (დიდუბე, რის ქუჩა).

მოხდება სჯარო ვ. ჭროვა

ამ.-კ. რკ. გ. სხვა და სხვა სადგურებზე მოუკითხავი ტვირთის, „ბალაჟის“, ნაპოვნის საგნების და დავიწყებული ნივთებისა.

განვეთქებითი გატყობილება

იმ ტვირთების გასაყიდად, რომელიც დარჩება პარველ დღეს გაუყიდველად, დანიშნულია შემდეგ დღეებში 22—23 აგვისტოს.

ქვევით ნაჩვენებია ნომრები გაზავნილი საქონლის და მისამართები გასაყიდი ტვირთებისა და მრეხები „ბალაჟის“.

დაწვრილებითი ცნობების მიღება გასასყიდ ტვირთების კუთვნილების შესახებ შეიძლება ტფილისის სალიკვიდაციო საწყობში და ვაჭრობის დაწყებამდე.

1. **მოუკითხავი „ბალაჟი“**—გასავანე სადგურის მისამართის ჩვენებით: № № 895499 ბეტროვარადი; 12415—ქუთაისი, 5907—საგარეჯო, 88916 ალექსანდრეპოლი, 2342—შორაპანი.

2. **მოუკითხავი ტვირთი.** მისამართის ჩვენებით. № № 47855, 641280, 36170, 72—ქუთაისის წარმომადგენი, 54481—კოროტის მთავარი სამმართველოს 81489—ქვეთარის წარმომადგენი, 68818—სახელმწიფო. თევზ. განყოფილება, 148910, 14035—ქუთაისი. წარმომადგენი 0445 ურ. სინდიატო, 64292 57458, 86555—ქუთაისი. წარმომადგენი, 39568—მელნიკოვი, 40021—ბორჯომის მაჟული, 5176—კავკასიის ცალკე არმიის სასურბაზო, 148135—კოპელსკი.

3. **უდოკუმენტო, ნაპოვნი საგნები და მსუბუქი ნივთები.** შესაძენი კამერიდან იმის ნგნებით თუ რა გვარი საქონელი. № № 2125—რკინა, 226—ცეკერტი, 40476, 89297, 169, 155, 184, 469, 471, 468, 470 და 207 საოჯახო ნივთები, 91—სამინდი, 19 ცარიელი ტიარა, 14—რკინა, 40—რკინის ლურსმანი, 69—„პოვოზის“ ნაწილები, 3049—საყინულე, 183—საოჯახო ნივთები, 165—ხურჯინი, 2471—მარილი, 739 სამქედურის საბერველი, 171—რკინის მილი, 25509 ხის ნახშირი.

1—1